პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 257 (5027)
1973 წ. 26 დეკემბერი, ოთხშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გამარჯვების სიხარული (რაპირისტ ვაჟთა შორის გამარჯვებული ა. რომანკოვი).
მ. ზარგარიანის ფოტო.

სტუდენტთა ტურისტული მარშრუტები

ოთახში საშუალო ტანის, მზისგან გარუჯული ყმაწვილი კაცი შემოვიდა და თავი გამაცნო. იგი თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ტურიზმით დიდად დაინტერესებული დავით გოგლიძე აღმოჩნდა.

დავითს რამდენიმეჯერ მიუღია მონაწილეობა ამიერკავკასიის მასშტაბის შეჯიბრებებში, დაუკავებია საპრიზო ადგილები, საკავშირო სარბიელზეც გამოსულა და ბევრი სახელმოხვეჭილი ტურისტისთვის გაუწევია მეტოქეობა.

— მე მარტო დაინტერესებული კი არა ვარ, სულითა და გულით მიყვარს ტურიზმი. სწორედ ამან გამაბედვინა ჯგუფის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა, — ამბობს სტუდენტი-სპორტსმენი.—ჯგუფში სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ჩვენი მუშაობა განსაკუთრებით მომავალი გეოლოგებისთვისაა სასარგებლო. გეოლოგები, რომელთა პროფესიის სპეციფიკასაც ძიება და მოგზაურობა შეადგენს, ამ ჯგუფში ვარჯიშის შემდეგ უკვე საკმაოდ გამოწრთობილი იქნებიან პრაქტიკული, უშუალო მოღვაწეობისთვის.

ჯგუფში მეცადინეობის მსურველი უამრავი იყო, მაგრამ მწვრთნელმა თავისი საქმე კარგად იცოდა და ამიტომაც მათგან ბევრს უარი უთხრა. საბოლოოდ მან ათკაციანი წრე ჩამოაყალიბა და საქმეს შეუდგა.

პირველი მარშრუტები ასეთი იყო: თბილისი — მცხეთა — ჯვარი — ზედაზენი; თბილისი — ბაგები — წყნეთი — ბეთანია — თბილისი; თბილისი — ბაგები — წყნეთი — მთაწმინდა — თბილისი. სექციას დიდი დახმარება გაუწია უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრამ, რომელმაც სპორტსმენებს კარვები და საძილე ტომრები ათხოვა.

გოგლიძემ კარგად იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმს, კერძოდ, სტუდენტის ფიზიკურ წრთობაში, მაგრამ მიაჩნია, რომ ყოველი ახალგაზრდა ფიზიკურ სრულყოფილებასთან ერთად გონებაგრძნობითაც ფაქიზი უნდა იყოს. სწორედ ამ მიზნით დაავალა მან სექციის წევრებს მოგზაურობის დროს შთაბეჭდილებების ჩაწერაც.

სხვადასხვა გემოვნებისა და ფანტაზიის მქონე სტუდენტი სპორტსმენები სხვადასხვაგვარად, მაგრამ მეტად საინტერესოდ გადმოგვცემენ შთაბეჭდილებებს. ზოგი მხატვრულ ყალიბში აქცევს მათ, ზოგი მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე წერს.

სექციის წევრებმა უკვე ბევრი სხვადასხვა მარშრუტით იმოგზაურეს და მათი ჩანაწერები ამ საინტერესო გზებზე გვიამბობენ.

სექცია უახლოეს მომავალში ამიერკავკასიის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. ხელმძღვანელს იმედი აქვს, რომ ახალბედა ტურისტები თავს არც ამ შეჯიბრებაში შეირცხვენენ.

გ. გვენეტაძე,
უნივერსიტეტის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარე.

სენსაციად არ მიმაჩნია

თუ წინათ სსრ კავშირის თასის გათამაშება მოფარიკავეთა სპორტული სეზონის ბოლო აკორდი გახლდათ, ახლა ეს ტურნირი, ასე ვთქვათ, მომავალი წლის პირველ შეჯიბრებად ითვლება. დიახ, მოფარიკავეებმა დაამთავრეს არდადეგები და მომავალი შეჯიბრებების მარათონულ გზას დაადგნენ. და მაინც, ამ ასპარეზობისთვის ქვეყნის ნაკრების წევრები ჯერჯერობით საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვერ არიან. სწორედ ამით აიხსნება თბილისის საკავშირო თასის გათამაშებაში რაპირისტ ვაჟთა ახალგაზრდა თაობის აღზევება. ამასთან, რაპირისტთა შორის ერთგვარი პროგრესი შეიმჩნევა: ახლა სსრ კავშირში, სულ ცოტა, 20 თანაბარძალოვანი რაპირისტი მაინცაა.

მათზე მაღლა რამდენიმე მებრძოლი დგას, მაგრამ, როცა ლიდერები ჩვეულ ფორმაში არ არიან, მაშინ ლიდერთა ძალები ამ ოცეულისას უთანაბრდება. ამიტომ მე სენსაციად არ მიმაჩნია ის, რომ ფინალში გზა ვერ გაიკაფეს მოსკოველმა ლ. რომანოვმა, გორკელმა ვ. დენისოვმა და ლენინგრადელმა ვ. ლუკიანჩენკომ. დენისოვი უკვე წლების მანძილზე ვარჯიშობს ჩემთან და ამიტომ, რა თქმა უნდა, არ მძნელება მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე ლაპარაკი. დენისოვი იმ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეს საჭიროებენ, რადგან უნარი არ შესწევთ დამოუკიდებლად მოემზადონ ასპარეზობისთვის. რამდენიმე კვირას მე თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და დენისოვი უმწვრთნელოდ იყო. ამიტომ ტურნირისთვის კარგად ვერ მოემზადა.

რაც შეეხება რომანოვს, იგი უფრო ცუდ პირობებში გახლდათ. მისი მწვრთნელი, ცნობილი ფარიკაობის მასწავლებელი ი. მანაენკო კარგა ხანია შეუძლოდაა და, რა თქმა უნდა, ეს სპორტსმენის ფორმაზე უარყოფითად აისახა. ერთი სიტყვით, ფოლადის იარაღის ოსტატებს აქვთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ტურნირში სუსტად გამოსვლის საპატიო მიზეზები.

რა შეიძლება ითქვას ფინალისტებზე? ფინალში ორი გამოცდილი მუშკეტერი იბრძოდა თასისთვის, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ქვეყნის ნაკრების ძველ ბინადარს, ნოვოსიბირსკელ ა. კოტეშევს ამჯერად მხოლოდ II ადგილი ხვდა, ხოლო წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა და ვერცხლის პრიზიორმა, კიეველმა ი. ჩიჟმა V ადგილი დაიკავა. ისე კი, ჩიჟი ამ ტურნირში ყველაზე მეტად იყო თასის ღირსი...

თასის მფლობელი ა. რომანკოვი ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენია. ვფიქრობ მის ტაქტიკურ აზროვნებას გამრავალფეროვნება სჭირდება, რის შემდეგაც ამ მოფარიკავეს, ალბათ სულ მალე ნაკრებში ვიხილავთ. იგივე შეიძლება ითქვას ა. მაკაროვზე და ე. ნეფიოდოვზე.

მ. მიდლერი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

გაგაცნობთ ფინალისტებს (დაკავებული ადგილების მიხედვით): 1. ა. რომანკოვი (ბელორუსია), 2. ა. კოტეშევი (რსფსრ), 3-4. ა. მაკაროვი და ე. ნეფიოდოვი (ორივე — რსფსრ), 5. ი. ჩიჟი (უკრაინა), 6. ს. ისაკოვი (ყაზახეთი).

ჩვენები — IV ადგილზე

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა დაშნით მოფარიკავეთა ტურნირი. ყველასთვის მოულოდნელად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბელორუსიის წარმომადგენელი ვ. ბოკუნი. II ადგილი დაიკავა ხ. მატვეევმა (რსფსრ). კიეველი ს. პარამონოვი მესამე იყო.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. II ადგილი ხვდა ბელორუსიის ნაკრებს, III — ლენინგრადელთა კოლექტივს.

ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეები IV ადგილზე გავიდნენ.

ვეტერანებს ავიწროებენ

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება დაძაბულ, გულმოდგინე შრომას მოითხოვს. სვერდლოვსკისა და ბაკურიანის სასპარტაკიადო სტარტები რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების წევრებს მეტი გულისხმიერებით წვრთნას ავალებს, ფალუნის (შვეცია) მსოფლიო ჩემპიონატი კი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე ჩატარდება, საბჭოთა ნაკრების კანდიდატებს მეტად საპასუხისმგებლო დავალებას აძლევს — მსოფლიოს და ოლიმპიადის ჩემპიონებმა უმაღლესი წოდების დასაცავად უნდა იბრძოლონ.

ზამთრის სახეობათა ოსტატები მზადებას დროულად შეუდგნენ. ბევრი ზაფხულშიც საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშობდა, გორგოლაჭებიანი თხილამურებით სრიალებდა. მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია — ამ სპორტსმენებმა ზამთრის პირველივე შეჯიბრებებში დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს.

ნაადრევმა ზამთარმა სპორტსმენებს ხელი შეუწყო ტექნიკის სრულყოფისთვის ვარჯიშში. მერე შეჯიბრება შეჯიბრებას მოჰყვა: მორბენლები, „მფრინავი მოთხილამურეები“, ბიატლონისტები, სამთომოთხილამურეები უკვე საკავშირო მასშტაბის ასპარეზობებში ჩაებნენ.

ლენინოგორსკში (თათართა ასსრ) V რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში 200 მოთხილამურე ჩაება.

ვ. ჩკალოვის სახელობის პრიზის გათამაშებაში, რომელიც გორკის სოფელ შჩელოკოვსკში გაიმართა, ქალთა შორის 4×3 კილომეტრზე ესტაფეტა მოიგეს ავტოქარხნის სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონ ა. ოლიუნინას მეთაურობით — 55.55,0.

ბაშკირეთის ქალაქ ბელორეცკში სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე მრავალჭიდელ ქალთა შორის მასპინძლებმა— ტ. და ნ. პერჩატკინებმა გაიმარჯვეს. ვაჟთა შეჯიბრებაც მასპინძლებმა მოიგეს. სლალომში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ლატვიელი ი. ციაგუნსი გიგანტური სლალომის ტრასაზე დაეცა, მაგრამ სპეციალურ სლალომში იმარჯვა და თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. მერე სამთომოთხილამურენი ტერსკოლს ეწვივნენ და იქ სამჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩაებნენ.

„მფრინავმა მოთხილამურეებმა“, „საშინაო“ ტურნირის მერე ჯერ კიროვსკში, მერე გორკში ბოლოს კი კავგოლოვოში მოიყარეს თავი. კავგოლოვოს ტრამპლინზე ასპარეზობა ორ ეტაპად გაიმართა. პირველი ეტაპის სტარტზე გამოსული 99 სპორტსმენიდან ყველას აჯობა ახალგაზრდა კიროველმა ოსტატმა ა. ბოროვიტინმა — 238,6 ქულა (ნახტომები — 72,5 და 72 მ). შემდეგ ადგილებზე გავიდნენ გამოცდილი სპორტსმენები: გორკელი ვ. შერბაკოვი — 232,6 ქულა (69,5 და 72,5 მ), ლენინგრადელი ი. კალინინი — 232,1 ქულა (70 და 69,5 მ), ვ. ბელოუსოვი (ლენინგრადის ოლქი) — 229 ქულა (72,5 და 69,5 მ), სამი დღის მერე, გასულ კვირას, მეორე ეტაპის სტარტზე 55 სპორტსმენი გამოვიდა და ამჯერადაც ბოროვიტინმა იმარჯვა — 246,6 ქულა (72 და 75 მ). მსოფლიო ჩემპიონი, გორკელი გ. ნაპალკოვი II ადგილს დასჯერდა — 234,1 ქულა (70,5 და 71,1 მ).

ზვენიგოვოში (მარეთის ასსრ) V რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით 5 კილომეტრზე რბოლაში საქვეყნოდ ცნობილ ნ. სელიუნინას ახალგაზრდა სპორტსმენმა ლ. სავინოვამ აჯობა. სელიუნინამ 8 კილომეტრზე რბოლა მოიგო. ვაჟთა შორის 20 კილომეტრზე ასპარეზობაში ყველას იუნიორმა მ. ემელიანოვმა აჯობა.

როგორც ხედავთ, ახალგაზრდობა ვეტერანებს საგრძნობლად ავიწროებს.

ბიატლონისტებს ბოლო სტარტი კიროვო-ჩეპეცკში ჰქონდათ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადის დინამოელმა რ. საფინმა 20 კილომეტრზე რბოლას ოთხ საცეცხლე პოზიციაზე სროლით 1:18.22 მოანდომა (ერთი საჯარიმო წუთი). კვირას მან გაიმარჯვა ისევ კიროვო-ჩეპეცკში 10 კილომეტრზე რბოლაში.

შეჯიბრებები გრძელდება.

მორიგი ტირაჟები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 20 დეკემბერს ვორონეჟში გამართული „სპორტლოტოს“ 35-ე და „სპორტლოტო-2“-ის მე-7 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (იღბლიანი აღმოჩნდა 44 ბილეთი), ოთხისთვის — 186 (2973 ბილეთი), სამისთვის — 5 (84262).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ციფრი ვერც აქ გამოიცნო ვინმემ. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (ასეთი 17 ბილეთი აღმოჩნდა) მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 104 (1517 ბილეთი), სამისთვის — 4 (31472).

მოგებები გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 1974 წლის 1-დან 30 იანვრის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟები 30 დეკემბერს მოეწყობა მოსკოვში.



სურათზე: დაშნით მებრძოლთა ფინალური პაექრობა.
მ. ზარგარიანის ფოტო.

გაზეთების ფურცლებზე

რუსთაველ ფიზკულტურელთა მეგობარი

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო „სოციალისტური რუსთავი“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის, მეტალურგთა ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრათა, მისი მიღწევებისა თუ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების უპირველესი ამსახველია. გაზეთი თავის ფურცლებზე მუდამ დიდ ადგილს უთმობს მრეწველობისა და კულტურის დარგებში მოპოვებულ წარმატებებს, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

რედაქციის კოლექტივს არც ამ ქალაქის მკვიდრთა ფიზიკური სიჯანსაღისთვის ზრუნვა ავიწყდება: გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით რუსთავის საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველ მასალებს, ფოტოსურათებს. „სოციალისტური რუსთავი“ რეგულარულად აქვეყნებს საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების ანგარიშებს, მოწინავეებს აქებს, ჩამორჩენილებს აკრიტიკებს.

გაზეთი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეს, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირებისთვის, სპარტაკიადებისთვის ადგილობრივ სპორტსმენთა თუ ნაკრები გუნდების მზადებას, თვალყურს ადევნებს ფიზკულტურის კოლექტივებში შექმნილ მდგომარეობას. ამ საქმეში იგი პარტიის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის ერთგული დამხმარეა.

ამას წინათ რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის, ბაზების მდგომარეობის საკითხი. „სოციალისტური რუსთავის“ 12 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია სხდომის ვრცელი ანგარიში. ამ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მეტალურგთა ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ბოლო წლებში გამაჯანსაღებელ და სპორტულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, მაგრამ წინსვლა უფრო საგრძნობი იქნებოდა, საპირო ბაზები რომ ჰქონდეთ.

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სადღეისო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სექციები უმეტესად ნესტიან, ნახევრად ბნელ სარდაფებში მეცადინეობენ. „მეტალურგის“ სტადიონის მძლეოსნური ბილიკები და სექტორები უვარგისია. მძლეოსნებს აქ ვარჯიშის მერე შხაპის მიღების საშუალებაც არა აქვთ, ვინაიდან პრიმიტიული საშხაპე ფეხბურთელებსაც ვერ აუდის. ფრენბურთისა და კალათბურთის ბევრი მოედანი სავალალო მდგომარეობაშია. მუშაახალგაზრდობის № 2 სკოლის დარბაზში, სადაც ქალაქის მოკრივეები ვარჯიშობენ, საშხაპე და გასახდელი არ არის, სახურავიდან წყალი ჩამოდის.

ნორმალური წვრთნისთვის ასევე უვარგისია № 8 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის სარდაფში მოწყობილი სპორტდარბაზი, ნიხბოსნობის ბაზა კულტურისა და დასვენების პარკის ხელოვნურ ტბაზე, ამ პარკის სპორტული მოედნები. პარკის ქართული ჭიდაობის სექციამ მუშაობა შეწყვიტა.

ქიმიკოსთა კულტურის სახლთან არსებული პარკის სპორტული ბაზები მოუვლელია. № 1 სამშენებლო ტრესტის ადმინისტრაცია ფეხბურთის მინდვრისა და აუზის მოსავლელად არაფერს აკეთებს.

„სოციალისტური რუსთავი“ მეტალურგიული და ქიმიური კომბინატების, ლითონკონსტრუქციების ქარხნის, ქარხანა „ცენტროლიტის“, სკოლების ფიზკულტურელთა ხშირი სტუმარია. რედაქციის მუშაკები წერენ ამ კოლექტივების მიღწევებზე, მათ ნაკლოვანებებზე, რითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მეტალურგთა ქალაქის სპორტსმენების, ნაკრები გუნდების წარმატებებში, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგების ზრდაში, მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის დონის ამაღლებაში.

სსრ კავშირის რეკორდები

მძლეოსნობა

1978 წლის 26 დეკემბრისთვის

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
		ვაჟები	
რბენა			
100 მ	10,0	ვ. საპეია (მოსკოვი)	1968
	10,0	ვ. ბორზოვი (კიევი)	1969
	10,0	ა. კორნელიუკი (მოსკოვი)	1973
200 მ	20,0	ვ. ბორზოვი (კიევი)	1972
400 მ	45,9	ა. ბრატჩიკოვი (მოსკოვი)	1969
800 მ	1.45,3	ე. არჟანოვი (კიევი)	1972
1500 მ	3.37,8	ი. ივანოვი (მოსკოვი)	1972
	3.37,8	ვ. პანტელეი (ხარკოვი)	1973
5000 მ	13.29,08	მ. ჟელობოვსკი (მინსკი)	1973
10000 მ	27.56,4	რ. შარაფეტდინოვი (ლენინგრადი)	1971
მარათონი (მიღწევა)	2:11.32,0	ვ. ბუგროვი (მინსკი)	1972
ესტაფეტა			
4×100 მ	38,5	სსრ კავშირის ნაკრები	1972
4×400 მ	3.30,0	სსრ კავშირის ნაკრები	1972
თარჯრბენი			
110 მ	13,6	ვ. მიასნიკოვი (მინსკი)	1972
400 მ	49,1	ვ. სკომოროხოვი (ვოროშილოვგრადი)	1968
3000 მ წინაღობებით	8.22,2	ვ. დუდინი (ვილნიუსი)	1969
ხტომა			
სიმაღლეზე	228	ვ. ბრუმელი (მოსკოვი)	1963
სიგრძეზე	835	ი. ტერ-ოვანესიანი (მოსკოვი)	1967
სამხტომი	17,44	ვ. სანეევი (თბილისი)	1972
ჭოკით	5,41	ი. ისაკოვი (სვერდლოვსკი)	1973
ტყორცნა			
ბადრო	64,14	ვ. ლიახოვი (მოსკოვის ოლქი)	1972
შუბი	93,80	ი. ლუსისი (რიგა)	1972
ურო	75,88	ა. ბონდარჩუკი (კიევი)	1972
ბირთვი	20,54	ა. ბარიშნიკოვი (ლენინგრადი)	1972
სპორტული სიარული			
20 კმ	1:25.52,0	მ. ივჩენკო (გროდნო)	1971
მიღწევა (სტადიონის გარეთ)	1:25.19,0	ვ. აგაპოვი (სვერდლოვსკი)	1972
50 კმ	4:03.42,6	ვ. სოლდატენკო (ალმა-ათა)	1972
მიღწევა (სტადიონის გარეთ)	3:55.36,0	გ. აგაპოვი (სვერდლოვსკი)	1965
ათჭიდი	8454	ნ. ავილოვი (ოდესა)	1972
		ქალები	
რბენა			
100 მ	11,1	ლ. სამოტიოსოვა (ბრიანსკი)	1968
200 მ	22,7	მ. სიდოროვა (ლენინგრადი)	1973
400 მ	51,53	ნ. კოლესნიკოვა (მოსკოვი)	1973
800 მ	1.58,7	ნ. საბაიტე (ვილნიუსი)	1972
1500 მ	4.01,4	ლ. ბრაგინა (კრასნოდარი)	1972
3000 მ	8.53,0	ლ. ბრაგინა (კრასნოდარი)	1972
ესტაფეტა			
4×100 მ	43,4	სსრ კავშირის ნაკრები	1972
4×400 მ	3.31,9	სსრ კავშირის ნაკრები	1972
თარჯრბენი			
100 მ	13,2	ნ. ტკაჩენკო (მაკეევკა)	1973
200 მ	26,6	მ. ნიკიფოროვა (ლენინგრადი)	1970
	26,6	ლ. კონონოვა (ალმა-ათა)	1971
	26,6	ტ. ანისიმოვა (ლენინგრადი)	1972
ხტომა			
სიმაღლეზე	188	ა. ლაზარევა (მოსკოვის ოლქი)	1971
სიგრძეზე	673	ტ. შჩელკანოვა (ლენინგრადი)	1966
ტყორცნა			
ბადრო	69,48	ფ. მელნიკი (ერევანი)	1973
შუბი	63,96	ე. ოზოლინა (რიგა)	1973
ბირთვი	21,45	ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი)	1973
ხუთჭიდი	4754	ვ. ტიხომიროვა (ორიოლი)	1973

ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია

გაიმართა საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის 27-ე კონფერენცია, რომელმაც მოისმინა რაიკომის პირველი მდივნის ლ. სიხარულიძის საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა: ვ. ყაჭეიშვილმა (შუა განახლება), დ. ჩხიკვაძემ (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე), ჯ. მამარდაშვილმა (ვოგოლესუბანი), ხ. სირაძემ (ქვენობანი), ნ. ლომთათიძემ (ზიდისთავი) და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებზე.

აღინიშნა, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს. კომკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ იბრძვიან საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის, ფართოდ არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ბევრგან არ გამოეხმაურნენ ერკეთის კომკავშირელთა ინიციატივას სპორტული მოედნების კეთილმოწყობის თაობაზე.

მოსავლელია შუა განახლების, ზიდისთავის, საჭამიასერის საშუალო სკოლების სპორტული მოედნები; ჩოხატაურის 1-ელ, ჩაისუბნის, განახლების, ერკეთის საშუალო სკოლებს არა აქვთ საკმარისი რაოდენობით სპორტული ინვენტარი; მოუვლელია იანეულის, ბასილეთის, ქვენობნის, დაბლაციხის, ჩოხატაურის, ქვემო ერკეთის ფეხბურთის მინდვრები, მთელ რიგ სკოლებში არ იგრძნობა კომკავშირელთა აქტივობა, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების დახმარება.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონის ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

გვიხმობენ სპარტაკიადები

ბელორუსიის ყოველ ფიზკულტურულ კოლექტივში ჩატარდება მასობრივი სპარტაკიადები მშდ კომპლექსის მრავალჭიდის პროგრამით. ეს გადაწყდა 24 დეკემბერს მინსკში, სპორტულ საზოგადოებათა გაერთიანებულ რესპუბლიკურ პლენუმზე, რომელმაც განიხილა ბელორუსიის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის ხალხთა მომავალი ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადებისთვის.

ბელორუსიის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ვ. ლივენცევის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება იმ კოლექტივების რიცხვი, სადაც ფიზკულტურასა და სპორტს მშრომელთა გაჯანსაღების წყაროდ იყენებენ. მაგალითად, გომელის სანტექმოწყობილობის ქარხანაში ყოველი მეორე კაცი მშდ კომპლექსის ნიშნოსანია. აქ მუშაობს 27 სპორტული სექცია, რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები და სპარტაკიადები, ქარხნის ტერიტორიაზე ახალგაზრდების ძალებით აშენდა სპორტული კომპლექსი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა შეიტანეს საწარმოს სოციალური განვითარების გეგმაში, საამქროებს, ბრიგადებს, კომკავშირულ-ახალგაზრდულ ჯგუფებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებების პირობებში.

— მასობრიობის ზრდა დამოკიდებულია სპორტული ბაზების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებაზე, ორგანიზატორული მუშაობის დონეზე, — აღნიშნა მომხსენებელმა, — რესპუბლიკას აქვს 89 სტადიონი, 2080 დარბაზი, 52 დახურული საცურაო აუზი, ათასობით ტირი და მოედანი. სამწუხაროდ, ეს ბაზები სრულად არ არის დატვირთული. ამიტომ გადაწყდა შეიქმნას კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოები სპორტნაგებობათა რაციონალურად გამოსაყენებლად.

რაც შეეხებათ ზამთრის სპორტის-მოყვარულებს, პლენუმზე აღინიშნა, რომ მათს განკარგულებაშია ასობით სათხილამურო ბაზა და ჰოკეის სათამაშო მოედანი. ამ დღეებში უკვე მოეწყო მასობრივი სტარტები სათხილამურო სპორტსა და ციგურაობაში, დაიწყო შეჯიბრებები მშდ კომპლექსისა და სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით.

მინსკი.

დოსაამის საპატიო ნიშანი

„დოსაამის საპატიო ნიშანი“ — ამ საზოგადოების უმაღლესი ჯილდო გადაეცათ საჩუქრად კოლის ატომური სადგურის მშენებლებს: ინჟინერ გ. ტარასოვს, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროს ა. ანდრუშეჩკოს, სადგურის დირექტორის მოადგილეს კაპიტალური მშენებლობის დარგში ა. მიხაილოვს, ინჟინერ ა. გრიგორიევს.

დოსაამის პირველად ორგანიზაციას მართლაც დიდი დამსახურება მიუძღვის კოლის ატომური სადგურის მშენებლობაში: ივლისში, სადგურის პირველი ენერგობლოკის გაშვების მომენტისთვის, აქ მომზადებული იყო სხვადასხვა ტექნიკური პროფილის ათასზე მეტი სპეციალისტი.

დოსაამის პირველადმა ორგანიზაციამ კოლის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე თავდაცვით-მასობრივი და სპორტულ-ტექნიკური მუშაობა ფაქტიურად ყამირზე დაიწყო. აქტივისტებმა ა. გრიგორიევის მეთაურობით ერთ-ერთ სახლში მოაწყვეს რამდენიმე კლასი მექანიზატორებისა და რადიომოყვარულებისთვის, თავისი ხელით მიადგეს სახლს შენობა (იქ ახლა ავტოსახელოსნოა), შეაკეთეს „დამხმარე თვალსაჩინოებისთვის“ რამდენიმე ჩამოწერილი საბარგო მანქანა. შემდეგ საკავშირო დამკვრელურ მშენებლობაზე გაჩნდა ტირი, კარტინგკლუბი, კარტოდრომი.

ახლა ატომური სადგურის მშენებლებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთ სპორტულ-ტექნიკურ კლუბში დაეუფლონ შოფრის, ბულდოზერისტის, რადიოსაქმის ოსტატის პროფესიებს. კლუბში სწავლება უფასოა — იგი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს.

ვ. ზასუხინი.

დაბა ზაშეეკი,
მურმანსკის ოლქი.

ახალი გარდამავალი პრიზი

ესტონეთის სათხილამურო სპორტის ცენტრის — ოტეპიას საშუალო სკოლის მოსწავლეები სათხილამურო ორჭიდში წარმატებისთვის ამიერიდან ახალი გარდამავალი პრიზით დაჯილდოვდებიან. ესაა ლითონის ფირფიტა, რომელზეც დათვის სილუეტია ამოტვიფრული. ფირფიტა გააკეთა მხატვარმა ი. სეპამ.

პრიზი დაწესდა სათხილამურო სპორტის ვეტერანის, საკავშირო კატეგორიის მსაჯ მ. კახრუს პატივსაცემად, რომელმაც ორმოცი წლის წინათ დაამთავრა ეს სკოლა — მოთხილამურე სპორტსმენთა სამჭედლო. მისი გვარი — კახრუ — ესტონურად დათვს ნიშნავს.

საპატიო პრიზის მოსაპოვებლად საჭიროა წარმატებით გამოსვლა სხვადასხვა შეჯიბრებაში — ორჭიდში სასკოლო პირველობაში, საზოგადოება „ნოორუსის“ („სიჭაბუკე“) რესპუბლიკურ ზამთრის სპარტაკიადაში, ახალგაზრდობის ასპარეზობებში ესტონეთის ან სსრ კავშირის პირველობაზე.

საპატიო პრიზი პირველმა მიიღო ფიოდორ კოლჩინმა — ცნობილი მოთხილამურეების ალევტინა და პავლე კოლჩინების ვაჟმა, ოტეპიას საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, რომელმაც შარშან ჭაბუკ ორჭიდელთა საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

მ. იუოვი.

ტარტუ.

ტალანტების მაძიებელი

თავის მეთხუთმეტე დაბადების დღეს სოფლის სკოლის მოსწავლემ გენუტე გარშვინსკაიტემ ხელბურთის ყველა კარგი მცოდნე გააოცა: კაუნასის „პოლიტექნიკასთან“ გამართულ მატჩში რვა გოლი გაიტანა. განაპირა სასოფლო რაიონის დებიუტანტი ხელბურთელები, რომელთა საშუალო ასაკიც 15,5 წელია, ლიტვის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ და მხოლოდ აქ, შეუპოვარ ბრძოლაში დაუთმეს პირველობა კაუნასის „ჟალგირისის“ ოსტატ სპორტსმენებს.

— მე უკვე მზად ვარ, რომ პასვალისელ გოგონათა გუნდის ნახევარი ჩვენს კოლექტივში ჩავრიცხო, — თქვა „ჟალგირისის“ მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. პეტკენემ. — ჩვენს რაზმში მოეწყობა სალვინია კალვენაიტეს დებიუტი, ხოლო გენუტე გარშვინსკაიტე და მისი და მარტე რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებში შეიყვანეს. ეს ყველასთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

ეს ამბავი სენსაციად არ მიუღია მხოლოდ „ტალანტების მაძიებელს“ — სასოფლო გუნდის ხელმძღვანელს, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ლ. დაუგისს. ხელბურთის დიდად მოყვარულმა ამ ოთხი წლის წინათ სოფლები შემოიარა, ნიჭიერი 11-12 წლის გოგონები შეარჩია და ხელბურთის ანბანი შეასწავლა. მისი ნორჩი მოწაფეები კვირაში სამჯერ ჩადიოდნენ თავიანთი დაბებიდან პატარა ქალაქ იონიშკელისში, სადაც კარგი სპორტული დარბაზია.

ახლა რაიონში ხელბურთს 500-ზე მეტი მოსწავლე თამაშობს. რესპუბლიკის თასზე გამართულ შეჯიბრებაში ნორჩების წარმატებამ ამ თამაშს ახალი თაყვანისმცემლები შესძინა.

ხ. ვაინტრაუბასი.

პასვალისი,
ლიტვის სსრ.

საჭადრაკო მიმოხილვა

ქართული კალათბურთის ისტორია, რომლის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ა ც წლეულს ვზეიმობთ, ენთუზიასტთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დაიწყო. ეს იყო დიდი და სახახელო გზა, რომელმაც ცალკეულ მოყვარულთა მონდომება ათასობით კვალიფიციური გუნდის ოსტატობაში გადაზარდა, პირველ რაიონულ და საქალაქო ტურნირებში წარმატება კი საკავშირო ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებებად აქცია.

ქართულ კალათბურთს მართლაც სახელოვანი ისტორია აქვს და დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ ისტორიის თავფურცელს, ქართული კალათბურთის პატრიარქ ალექსანდრე ჭელიძის მოგონებას იმაზე, თუ როგორ ჩაეყარა საძირკველი სპორტის ამ ლამაზ და მიმზიდველ სახეობას ჩვენს რესპუბლიკაში.

ისტორია ასე დაიწყო

კალათბურთს პირველად 1922 წელს ვეზიარე მოსკოვში. იმ წელს სოკოლნიკის სტადიონზე მძლეოსანთა საკავშირო პირველობა ტარდებოდა ვსევობუჩის ხაზით. მეც რამდენიმე ამხანაგთან ერთად ვმონაწილეობდი ამ ასპარეზობაში. იმ ღირსახსოვარ დღეს საწვრთნელ მოედანზე მოთელვას ვატარებდი. როგორც ჩანს, დავიღალე, გამეფანტა ყურადღება და ძალაუნებურად ფეხბურთის მოედანს მივაშურე.

იქ, სრულიად მოულოდნელად, უჩვეულო სანახაობის მოწმე გავხდი: მოედნის ორივე მხარეს ხის ბოძები იდგა. ამ ბოძებზე ვიღაცას დაემაგრებინა ფარები და ორი რგოლი, ორი ჩვეულებრივი რგოლი.

მოედანზე ერთი ახოვანი კაცის მეტი არავინ იყო. იგი ბურთს მიწაზე ათამაშებდა, ნელნელა უახლოვდებოდა ფარს და მერე ამ ბურთს ისე ისროდა, რომ უსათუოდ რგოლში ჩავარდნილიყო. გამიკვირდა, ასეთი თამაში არასდროს მენახა. არადა უცნობი ისე გატაცებით ვარჯიშობდა, რომ ჩემი დაინტერესება პირველად ვერც კი შენიშნა.

ცნობისმოყვარეობამ მაინც მისკენ მიბიძგა, შევარჩიე ხელსაყრელი დრო და მორიდებით ვკითხე, რას აკეთებთ ან ეს ბოძები, ფარები და რგოლები რისთვის გჭირდებათ-მეთქი.

მოვარჯიშე გამოდგა საკმაოდ ცნობილი მძლეოსანი, გვარად დიომინი. იგი ხუთჭიდელი იყო და თავისივე მიღწევის გასაუმჯობესებლად ემზადებოდა. ამ თამაშს კალათბურთი ჰქვიაო, ამიხსნა, მძლეოსნობა, მართალია, ჩემი საყვარელი სპორტია, მაგრამ კალათბურთსაც ხშირად გატაცებით ვთამაშობო.

დამაინტერესა ამ თამაშის არსმა. დიომინი საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა გამოდგა და გულმოდგინედ ამიხსნა წესები. გადავწყვიტე, რომ თამაში თბილისში „ჩამომეტანა" და ჩემი მეგობრებისთვის გამეცნო.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ქართულ მუშფაკში ფიზკულტურის გაკვეთილზე პირველად ავუხსენი მსმენელებს თამაშის წესები. ენთუზიასტი ბევრი აღმოჩნდა და გუნდების ჩამოყალიბება არ გამჭირვებია. მუშფაკის (ამჟამად პოლიტექნიკური ტექნიკუმი) ეზოში ხეზე დავამაგრეთ ფარი და რგოლი. დავიწყეთ სისტემატური, ვეგმიანი ვარჯიში.

პირველი ენთუზიასტები, რა თქმა უნდა, მეგობრების წრეში შევარჩიე. თამაში ყველას მოეწონა. მალე მე და ჩემს თანამოაზრეებს მ. ცხვედაძეს და გ. საყვარელიძეს, რკინიგზის საწარმოდაწესებულებებში ერთად რომ ვმუშაობდით, შემოგვიერთდნენ მ. იზაშვილი და ა. ოჩიგავა. ეს ხუთეული იმხანად გ. ეგნატაშვილის მეთაურობით ტანვარჯიშის ხელოვნებას ეუფლებოდა. კალათბურთმა ყველა დაგვაინტერესა. ყურადღება მიაქცია მას გ. ეგნატაშვილმაც. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ მასალა გვეშოვა, ჩვენ თვითონ დაგვედგა ბოძები, ფარები, მოგვეპირკეთებინა მოედანი.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჩვენს მიერ არჩეული მოედნის ზომები არ იყო საკმარისი თამაშისთვის. ამიტომ გ. ეგნატაშვილმა თავისი ბაღის ნაწილი „გვათხოვა". სწორედ ამ მოედანზე გაიმართა ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველი მატჩი. ერთმანეთს შეეჯიბრნენ ქართული და რუსული მუშფაკების გუნდები. ამ შეხვედრას სჯიდა მ. ცხვედაძე. პირველი მატჩი რუსული მუშფაკის გუნდმა მოიგო ანგარიშით 4:3.

ჩვენი ხელით გაკეთებული ფარები და რგოლები უხარისხო გამოდგა. ამაში სულ მალე დავრწმუნდით. ამიტომაც ფარების დამზადება სპეციალისტებს დავავალეთ. ნელ-ნელა დაზუსტდა ჩვენი გუნდის შემადგენლობაც: მ. ცხვედაძე, გ. საყვარელიძე, ბ. გერასიმოვი, ა. დავიდოვი და ამ სტრიქონების ავტორი. გუნდს დავარქვით „სინათლე". ფორმების შეძენა არ გაგვჭირვებია — საამისოდ ყველამ გავიღეთ სახსრები.

გადაწყდა, რომ კალათბურთის პირველი მოედანი მოგვეწყო ტანვარჯიშულ დარბაზში, სადაც ამჟამად ლენინის სახელობის სტადიონია. სწორედ აქ ჩატარდა პირველი ოფიციალური საქალაქო შეჯიბრება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ამ ტურნირებმა ცხადყო, რომ კალათბურთმა ფართოდ მოიკიდა ფეხი ახალგაზრდობაში. კალათბურთით დაინტერესდნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო, და ვინაიდან ნიადაგი უკვე მომზადებული ჩანდა, დღის წესრიგში დადგა რესპუბლიკური ჩემპიონატის ჩატარება.

მაგრამ მანამდე საჭირო იყო შეგვემოწმებინა სპორტის ამ ახალი სახეობის განვითარების დონე, პოპულარობა. და მე ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს დავალებით აფხაზეთში გავემგზავრე (ეს მოხდა 1927 წელს). გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ბევრი იყო, მაგრამ ახალ იდეას უამრავი ქომაგი და მოხალისე გამოუჩნდა. მოვაწყვეთ იმ დროისთვის ნორმალური მოედანი, ჩამოვაყალიბეთ გუნდები სპორტულ საზოგადოებებსა და სკოლებში, მერე უკვე ქალაქის პირველობაც ჩატარდა და მისი შედეგების მიხედვით შევადგინეთ ნაკრები გუნდი. ამ კოლექტივში პირველ ხანებში მეც ვთამაშობდი.

აფხაზეთის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელ ჩემპიონატში, რომელიც 1927 წელს ქუთაისში ჩატარდა. ამ დროისთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ თბილისის „სინათლის" ვაჟთა და ქალთა გუნდები, სადაც ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი კალათბურთელები თამაშობდნენ. ცხადია, I ადგილები სწორედ ამ კოლექტივებმა მოიგეს. ვაჟთა შორის II ადგილზე აფხაზეთის გუნდი გავიდა.

პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატის მთავარი მსაჯი იყო ქართული სპორტის ერთ-ერთი ვეტერანი, ამჟამად სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მერკვილაძე.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ საყვარელი სპორტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, სპორტისას, რომელმაც ბევრი სახელოვანი გამარჯვება მოუტანა ჩვენს სამშობლოს. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი კიდევ არა ერთ და ორ სიხარულს მოუტანს ქართული სპორტის მოყვარულთ. ჩვენთვის, ეროვნული კალათბურთის პიონერებისთვის, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერი იქნება.

ა. ჭელიძე,
თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელი.

ეს მოხდა 1928 წელს. მუშფაკის ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელ ა. ჭელიძის თაოსნობით თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე მუშფაკის ეზოში ერთ-ერთ ხეზე კალათბურთის ფარი დაამაგრეს, შემდეგ კი ჩვენს რესპუბლიკაში პირველი კალათბურთის მოედანი მოაწყვეს. სწორედ ამ მოედანზე ჩატარდა მატჩი მუშფაკის სპორტსმენთა ორ ჯგუფს შორის, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ქართულ კალათბურთს.

• • •

სურათზე: ისტორიული ხე და ქართული კალათბურთის პატრიარქი ალექსანდრე ჭელიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

დინამოელთა წინსვლა შეჩერდა მეორე ტაიმში გადაწყდა

მოსკოვი, 24 დეკემბერი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ლენინგრადის „სპარტაკი".

ორიოდე სიტყვა დინამოელებზე, რომლებმაც მიმდინარე სეზონის სტარტზე ორნაირი ხასიათი გამოიჩინეს და სპეციალისტთა სამართლიანი გაკვირვება გამოიწვიეს. „დინამომ" ჩემპიონატი თბილისის ტურით დაიწყო, მაგრამ გუნდმა, რომელსაც პრიზიორთა შორის უწინასწარმეტყველებდნენ ადგილს, ზედიზედ 4 შეხვედრა წააგო.

მაშინ ბევრს წერდნენ მოულოდნელობაზე, ბედის უკუღმართობაზე და იმ ფსიქოლოგიურ ტრავმაზე, რომელიც პირველი მარცხის შემდეგ მიიღო გუნდმა.

მაგრამ დაიწყო მეორე წრე და მოსკოვის „დინამო" ისევ დამარცხდა, თუმცა ამჯერად მან თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა და უმძაფრესი ბრძოლის შემდეგ დათმო გამარჯვება ცსკა-სთან (87:89). ეს მარცხი მისი მომავალი წარმატებების სიგნალი გახდა.

28 ნოემბერს მოსკოველებმა პირველი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში და მას შემდეგ კიდევ ხუთჯერ დატოვეს მოედანი გამარჯვებულებმა. „დინამომ" 11 მატჩის შემდეგ 6 ქულა დააგროვა და მიუახლოვდა იმ ადგილს, რომელსაც ჩემპიონატის დაწყების წინ უწინასწარმეტყველებდნენ.

ერთი სენსაცია მეორემ შეცვალა. სენსაცია იყო წარუმატებლობა სტარტზე, მაგრამ არანაკლებ მოულოდნელი აღმოჩნდა ზედიზედ 6 მატჩის მოგება. ასეთი ძირეული გარდაქმნა და სტაბილური თამაში იმის მომასწავებელი იყო, რომ გუნდმა თავი დააღწია პირველ შოკს და „თამაში მონახა".

XII ტურში მოსკოველთა ტრიუმფული სვლა შეწყდა. შეწყდა იგი საკუთარ ქალაქში, საკუთარი მაყურებლის თვალწინ, რომელიც დიდხანს იყო დარწმუნებული, რომ გუნდი არც ამ შეხვედრაში უღალატებდა ტრადიციას.

კაცმა რომ თქვას, ლენინგრადის „სპარტაკთან" წაგება არც ისეთი სათაკილოა, მაგრამ ამჯერად მასპინძლები თითქოს არ იყვნენ განწირული. „დინამომ" მოიგო ტაიმი 3 ქულით — 38:35. იგი შესვენების შემდეგაც მთელი 12 წუთის განმავლობაში წინ იყო და გარეგნულად საფრთხე არც ემუქრებოდა: მაგრამ 32-ე წუთზე „სპარტაკმა" რის ვაი-ვაგლახით გაათანაბრა ანგარიში 58:58. აი, სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გამოჩნდა ნევისპირელთა ლიდერის ა. ბელოვის მაღალი კლასი. მან რამდენიმე ბურთი ჩააგდო მეტოქის კალათში (სულ კი ამ მატჩში თავის კოლექტივს 24 ქულა შესძინა) და წელშიც გატეხა გუნდი.

ლენინგრადის „სპარტაკმა" გაიმარჯვა ანგარიშით 69:64 და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა.

კიევი, 24 დეკემბერი. „სტროიტელისა" და მინსკის რტი-ს შეხვედრაში ბრძოლა მეტნაკლებად მხოლოდ პირველ ტაიმში იგრძნობოდა, რომელიც მასპინძლებმა 9 ქულით მოიგეს (48:39). შესვენების შემდეგ „სტროიტელმა" მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა და დამაჯერებლად გაიმარჯვა — 93:65.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	12	11	1	890—761	11
ცსკა	11	10	1	1037—871	10
„კალევი"	11	8	3	877—779	8
„დინ." (მ.)	12	6	6	943—948	6
„სტროიტელი"	12	6	6	963—934	6
„დინ." (თბ.)	11	4	7	858—905	4
რტი	11	4	7	787—910	4
ასკ (კიევი)	12	3	9	859—958	3
ასკ (რიგა)	11	3	8	827—929	3
„ჟალგირისი"	11	2	9	808—854	2

დღის წესრიგშია კალათბურთი

ამას წინათ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თაოსნობით მოეწყო კალათბურთის სპეციალისტთა გაფართოებული თათბირი, რომელმაც განიხილა ქალაქის საკალათბურთო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. თათბირის მონაწილეებმა გულახდილად და საქმიანად ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომელთა გადაუჭრელობაც შესამჩნევად აფერხებს კალათბურთის განვითარებას ჩვენს დედაქალაქში.

თბილისის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ავალიშვილმა ილაპარაკა ფედერაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მან თქვა, რომ აგერ უკვე წელიწადზე მეტია ქალაქის ფედერაციას თავმჯდომარე არ ჰყავს და ამის გამო საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. არადა ფედერაციის საქმიანობა, პირველ ყოვლისა, მისი კომისიების ოპერატიულ და მოქნილ მუშაობაზეა დამოკიდებული. გ. ავალიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ფედერაციის ახალი შემადგენლობა, რომელსაც ალბათ ახლო მომავალში აირჩევენ, სერიოზულად მოჰკიდებს ხელს მუშაობას, ქმედითს დახმარებასა და კონტროლს გაუწევს ქალაქის საკალათბურთო ცხოვრებას.

ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთმა ვეტერანმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა შ. დიასამიძემ თავისი გამოსვლა ძირითადად სამი საკითხის გარკვევას მიუძღვნა. მან გადაჭრით თქვა, რომ კალათბურთის ჩამორჩენის მიზეზები უნდა ვეძებოთ ბავშვთა შორის მუშაობის უკმარ დონეში, სპორტსაზოგადოებათა უმოქმედობაში და მწვრთნელთა კვალიფიკაციის დაბალ ხარისხში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდის მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ძეკონსკიმ თავისი სიტყვის დიდი ნაწილი ფედერაციის საქმიანობას მიუძღვნა. მან კონკრეტულად ილაპარაკა ქალთა კალათბურთის პრობლემებზე, მერე კი მსაჯთა საქმიანობას შეეხო და აღნიშნა, რომ ბევრი კვალიფიციური არბიტრი თავს არიდებს ეგრეთ წოდებულ უბრალო მატჩებში მსაჯობას და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება დარბაზში, როცა რაიმე დიდ ტურნირზეა წასასვლელი. ძეკონსკის აზრით, საპატიო შეხვედრების მსაჯობა უნდა მივანდოთ იმათ, ვინც მთელი წლის მანძილზე აქტიურად მუშაობს.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ქორქიამ დაწვრილებით ილაპარაკა თბილისის სპორტული ბაზების მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, არსებულ ბაზებსაც ვერ ვიყენებთ სრულყოფილად. თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი მან ახალგაზრდა მწვრთნელთა წახალისებასა და ბავშვთა კალათბურთის მდგომარეობას მიუძღვნა. შემდეგ ქორქიამ სამართლიანი სურვილი გამოთქვა, რომ თბილისში შეიქმნას კალათბურთელთა კლუბი. ეს ამ დარგის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, მსაჯებსა და აქტივს კიდევ უფრო დააახლოებს ერთმანეთთან.

ქართული კალათბურთის ერთ-ერთმა ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა ა. მესხმა თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი ბავშვთა კალათბურთის საჭირბოროტო საკითხებს მიუძღვნა. მან ილაპარაკა სპორტთამაშობათა ცენტრალიზებული სპორტსკოლის სასარგებლო საქმიანობაზე და კალათბურთის მწვრთნელთა ყოველმხრივი დახაქმების აუცილებლობაზე, მოიყვანა ფაქტები იმისა, რომ ზოგიერთი მწვრთნელი გაურბის სასარგებლო საქმიანობას.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე: რ. გოგელიამ (ილაპარაკა სპორტკლუბ „სინათლის" მუშაობაზე), დ. ქამუშაძემ (უნივერსიტეტის საქმიანობაზე), გ. იმნაძემ (სპორტთამაშობათა ცენტრალიზებული სპორტსკოლის სახელით), ა. გიორგობიანმა (ქალაქის განათლების განყოფილების სახელით), გ. ალთაბაევმა, მ. ფილიპოვმა, ბ. ნიკურაძემ, ა. ბურჭულაძემ და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ. მან აღნიშნა თათბირის მონაწილეთა პრინციპულობა და იმედი გამოთქვა, რომ კალათბურთელთა საქალაქო აქტივი გაითვალისწინებს ნაკლოვანებებს და მთელს შემდგომ მუშაობას მათი აღმოფხვრის მიზნით წარმართავს.

ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

გაოცებას იწვევს...

სსრ კავშირის ბოლო სამ ჩემპიონატში ერევნის „არარატის" ფეხბურთელებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ მოსკოვში!

ერევნელებმა ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში 13 შეხვედრა გამართეს, 10 მოიგეს, თანაც ყველა ერთნაირი ანგარიშით (1:0), 3 ფრედ დაამთავრეს, გაიტანეს 13 გოლი, და მიიღეს მხოლოდ 3! (სამივე „სპარტაკისგან"). 3 გოლი 13 მატჩში, დაგვეთანხმეთ, ძალიან ცოტაა! შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ თბილისის „დინამომ" ამავე მატჩებში 29 (!) გოლი მიიღო.

რა არის მიზეზი ამ საკვირველი შედეგისა, რომელმაც ამდენი ძახილის ნიშანი დაგვახარჯვინა? კონკრეტული პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. ვიცით, რომ „არარატმა" საგრძნობლად მოუმატა თამაშს სტუმრად, რისი ნაყოფიც ცნობილია: ბოლო 2 წლის მანძილზე ერევნელები ფლობენ პრიზს „აგრესიული სტუმრისთვის", მაგრამ ასეთი შედეგი სწორედ მოსკოვში მხოლოდ გაოცებას იწვევს. ეს რეკორდია.

თბილისელები უძლიერესთა შორის

როგორც იცით, ყოველი წლის ბოლოს ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია ამტკიცებს ქვეყნის მოწინავე მწვრთნელთა მიერ შედგენილ სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიას. ისიც გემახსოვრებათ, რომ პირველად საუკეთესოთა სია 1938 წელს გამოქვეყნდა (მაშინ 55 დაასახელეს), ხოლო სისტემატური ხასიათი მან 1959 წლიდან მიიღო. ჩვენ, ბუნებრივია, ამ სიებში ძირითადად თბილისელთა „ყოფნა-არყოფნა" გვაინტერესებს (ქუთაისის „ტორპედოდან" უძლიერესთა შორის დასახელებული იყო მხოლოდ რ. ურუშაძე — 1963 წელს).

მაშ ასე: დინამოელთაგან საუკეთესოთა შორის სულ წარმოდგენილი იყო 28 ფეხბურთელი. ყველა სიაში მათგან 1 სპორტსმენი მაინც იყო შეყვანილი (სწორედ ამდენი იყო 1957 წელს), მაქსიმალური რაოდენობა კი 1964 წელს იყო — 9.

„დინამოდან" ყველაზე მეტჯერ — 10-ჯერ სიაში მოხვდა გუნდის ახლანდელი კაპიტანი მ. ხურცილავა (რეკორდი ეკუთვნის ლ. იაშინს, რომელიც 13-ჯერ შეიყვანეს სიაში).

საუკეთესოთა შორის 8-ჯერ იყო დასახელებული ს. მეტრეველი, 6-6-ჯერ — მ. მესხი და რ. ძოძუაშვილი, 5-ჯერ — გ. ნოდია, 4-4-ჯერ — გ. სიჭინავა, ს. კოტრიკაძე და გ. ჩოხელი, 3-3-ჯერ — შ. იამანიძე, ა. ღოღობერიძე, მ. მაჩაიძე და კ. ასათიანი, 2-2-ჯერ — ვ. ელოშვილი, ი. დათუნაშვილი, ბ. სიჭინავა, გ. ცხოვრებოვი, თითოჯერ — გ. ჯეჯელავა, ბ. პაიჭაძე, ნ. ძიაპშიპა, ვ. ბერეჟნოი, ვ. მარღანია, ი. სარჯველაძე, ზ. ხასაია, ზ. კალოევი, ჯ. ზეინკლიშვილი, ვ. ბარქაია, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი.

„ასიანთა კლუბის" კანდიდატი

თბილისის „დინამოს" ცენტრალურ თავდამსხმელს გ. ნოდიას სულ 9 გოლი აკლია გ. ფედოტოვის სახელობის „ასიანთა კლუბში" მოსახვედრად. მის ანგარიშზეა სსრ კავშირის ნაკრებში 5 გოლი + 5 გოლი უეფა-ს თასზე + 81 უმაღლეს ლიგაში.

გ. ნოდიას სრული შანსი აქვს გაისად გახდეს „ასიანთა კლუბის" ყველაზე ახალგაზრდა წევრი.

ვ. ვარაყანიძე.

სიცილიური სიუიტა

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 24 დეკემბერი. VII ტური.

ა. კისლოვა (ომსკი) — ა. გრინფელდი (კალინინგრადი) 0:1, ლ. სემიონოვა (კიევი) — ო. პედკო (სოჭი) 0,5:0,5, ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) 0,5:0,5, ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ი. მატვეევა (ალმაათა) 0,5:0,5, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) 0,5:0,5, ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) — მ. შული (ლვოვი) 0:1, კ. ზვორიკინა (მინსკი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) 1:0. გადაიდო პარტიები: ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ვ. სტერნინა (მოსკოვი), ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) — ტ. ფომინა (ტალინი).

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ზვორიკინა — 5,5 ქულა, კოზლოვსკაია — 4 ქულა და 3 გადადებული პარტია, შული და მედიანიკოვა — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია.

მოჭადრაკეთა თანამედროვე პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სიცილიური დაცვა თავისი მრავალფეროვანი განშტოებებით. ამ სადებიუტო სისტემას თეორია 1490 წლიდან იცნობს, როცა იგი გეტინგენის ხელნაწერში თორმეტ სხვა დებიუტთან ერთადაა მოხსენიებული. მაგრამ მისი პირველი საფუძვლიანი ანალიზი 1842 წელს გამოაქვეყნა რუსმა ოსტატმა კ. იანიშმა. XIX საუკუნეში სიცილიურ დაცვას ნაკლებად მისდევდნენ.

სიცილიური დაცვა უაღრესად მძაფრ კოლიზიებს წარმოშობს. აქ აუცილებელია აქტიური ბრძოლა. თეთრებს მეფის ფრთაზე მიაქვთ იერიში, შავებს ლაზიერის ფრთაზე სერიოზული კონტრთამაშის საშუალება ეძლევათ. სწორედ მსგავსი დინამიკური პაექრობა უყვართ თანამედროვე ოსტატებს, ამიტომაც „სიცილიური პოზიციები" დიდი მოწონებით სარგებლობს.

სიცილიური დაცვა ქალთა ჩემპიონატის ხშირი სტუმარიცაა. მაგალითად, საანგარიშო ტურში იგი შვიდ პარტიაში გათამაშდა.

მატვეევამ გაფრინდაშვილთან ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი გამოიყენა. მე-12 სვლაზე მან მსოფლიო ჩემპიონს ხარისხი შესწირა. პოზიცია უაღრესად დაიძაბა.

გაფრინდაშვილი ოპტიმისტი მოჭადრაკეა. იგი მეტოქეს აჰყვა, რაკი განჭვრიტა, რომ შავების სტრატეგია უნაკლო არ უნდა ყოფილიყო. 22-ე სვლისთვის დაფაზე კრიტიკული პოზიცია შეიქმნა. ნონა დილემის წინაშე დადგა: ან მეორე ეტლი უნდა მოეგო, ან დაცვაზე ეფიქრა. მან პირველი გზა აირჩია და კინაღამ პარტია წააგო. მატვეევამ კარგად განაგრძო იერიში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის მეფე ვერ დააშამათა (სიმართლე რომ ითქვას, შამათი თვალში არ გეცემოდა, შენიღბული იყო) და მუდმივ ქიშს დასჯერდა.

მერე მატვეევამ გვითხრა: ეს ვარიანტი ჩელიაბინსკელმა ოსტატმა სვეშნიკოვმა ახლახან დაამუშავა და მე კარგად შევისწავლეო.

რამდენი უნდა იცოდეს და ისწავლოს მსოფლიო ჩემპიონმა. ყველაფერს განა გასწვდები?!

შულმა და ბორისენკომ სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი გაითამაშეს. შულმა, ისარგებლა რა სტრელნიკოვას დუნე თამაშით, ცენტრი გაარღვია და საგრძნობი უპირატესობა მიიღო. ზვორიკინამ ბორისენკოს ამის საშუალება არ მისცა. პირიქით, მან მეტოქის ეტლებს ერთადერთი გახსნილი ვერტიკალიც კი დაატოვებინა, მერე გამსვლელი პაიკით წინ გაიჭრა და ბორისენკომ მხედრის მიცემას... დანებება ამჯობინა.

მოდური დებიუტის წინაშე ხარკი გრინფელდმაც გაიღო. გაიმართა ამ დაცვისთვის დამახასიათებელი ბრძოლა: თეთრები მთელი ლაშქრით თავს დაესხნენ შავ მეფეს, მაგრამ კისლოვა ზედმეტი რისკით უტევდა: სწირავდა პაიკებს, ფიგურებს, ოღონდ კი როქდაგვიანებული მეფე დაეტყვევებინა. გრინფელდმა ფხიზელი დაცვით მუქარა უვნებელყო და მატერიალური უპირატესობაც შეინარჩუნა.

ამ პარტიას ჰგავდა ალიოხინა — მედიანიკოვას შეხვედრა, რომელიც აგრეთვე სიცილიური დაცვით დაიწყო. ოღონდ ალიოხინამ თავზე ხელაღებულ შტურმს ბოლოს დაზავება ამჯობინა.

როგორც ჩანს, კ. იანიში არ ცდებოდა, როცა ამ 130 წლის წინათ წერდა, რომ, მისი აზრით, 1. e4-ზე საუკეთესო პასუხია 1. ... c5.

სამ გადადებულ პარტიაში სხვა დებიუტები გათამაშდა, მაგრამ ბრძოლა საინტერესო იყო. კოზლოვსკაიას სტერნინასთან ზედმეტი ხარისხი აქვს, მაგრამ მოსკოველი ოსტატის გამსვლელი პაიკი ბევრ მუქარას ანელებს. ლიუბარსკაიას ფომინასთან მატერიალური უპირატესობა მოგების შანსს აძლევს. ზატულოვსკაია — მულენკოს შეხვედრა თანაბარ პოზიციაში შეწყდა.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: კ. ზვორიკინა (მარცხნივ) ეთამაშება ლ. მულენკოს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რეკორდი სიცოცხლის გულისთვის

რეკორდი. კარგი სიტყვაა, უმაღლესი მაჩვენებლის, უმაღლესი შედეგის აღმნიშვნელი. სპორტის რომელ სახეობაშიც უნდა იყოს დამყარებული რეკორდი — ცურვაში, მძლეოსნობაში, სროლაში — იგი მუდამ გარკვეულ ეტაპებს ქმნის. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დაუვიწყარია (სხვათა შორის, სიტყვა რეკორდი წარმოდგება ლათინური „რეკორდოსგან", რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „მახსოვს") ავიაციაში მოპოვებული მიღწევები. მფრინავის, პარაშუტისტის, პლანერისტის ყოველი რეკორდი ხელს უწყობს არა მარტო ამ სახეობათა პროგრესს, არამედ საფრენი აპარატების სისწრაფის ზრდასაც, მეშველ მოწყობილობათა საიმედოობასაც. ჩვენი ხანა ზებგერითი სიჩქარეების ხანაა. და ეს სიჩქარეები უნდა ვმართოთ, უნდა დავიპყროთ. ამიტომ მიგვაჩნია ასე მნიშვნელოვნად საბჭოთა ავიაციის „პიონერების", ჩქაროსნული თვითმფრინავების პირველი „მომთვინიერებლების" გახსენება. ერთ-ერთი მათგანია პარაშუტისტი-გამომცდელი ალექსი ბისტროვი. წერილში სწორედ ამ ადამიანის რთულ ცხოვრებაზე, მის უჩვეულო მიღწევაზე გვექნება ლაპარაკი.

ვეოთხედი საუკუნის წინათ 39 წლის ალექსი ბისტროვი 1920 მეტრ სიმაღლეზე კატაპულტით მოსწყდა უტი მიგ-9 რეაქტიული თვითმფრინავის ბორტს, როცა საათში 764 კმ სიჩქარე იყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მას შემდეგ მფრინავებმა, განსაკუთრებით კი მფრინავმა-გამომცდელებმა ბევრჯერ მოიგონეს კეთილი სიტყვებით ალექსი ბისტროვი, მისი გმირობა. დიახ, გმირობა, ვინაიდან მაშინ ბევრი პარაშუტისტი როდი ბედავდა საპარაშუტო ტექნიკის გამოცდას, ბევრს როდი მიაჩნდა რეალურად მეშველი ტექნიკის შექმნა ასეთი სიჩქარეების დროს გამოსაყენებლად. დაახლოებით თხუთმეტ წელიწადს ცდიდა საპარაშუტო ტექნიკას ბისტროვი, „ხტომით მოსინჯა" 32 სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები.

პირველად 1935 წლის 15 აგვისტოს გადმოხტა — გუშინდელივით ახსოვს ის დღე, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული. მაშინ იგი მოსკოვის პირველი ავტობუსების პარკის შოფერი იყო.

ა. ბისტროვი ახლა 64 წლისაა. გადამდგარი მაიორი, ტანადი, მხნე, დღესაც რაღაც განსაკუთრებული აღტაცებით იგონებს ფრენას, თავის ამხანაგებს.

ბისტროვის ცხოვრების გზა რთული იყო. ადრეული ჭაბუკობიდანვე ჩაება შრომაში, მუშაობდა მტვირთავად, შოფრად, შოფერ-გამომცდელად, მუშაობდა და ავიაციაზე ოცნებობდა.

● მაინც, რატომ იყავით ასე გატაცებული ავიაციით? — ვეკითხები ბისტროვს.

— მოწაფეობიდანვე მიყვარდა რისკთან დაკავშირებული სპორტის სახეობები. ჯერ მთებიდან სწრაფდაშვებამ გამიტაცა (სხვათა შორის, თხილამურებს ჩვენ თვითონ ვაკეთებდით, მუხის ძველი კასრებისგან), მერე ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა მომეწონა. 30-ანი წლების დამდეგს ლენინის გორაზე პატარა ტრამპლინი ავაგეთ. მე იმ დროისთვის საკმაოდ კარგ შედეგს მივაღწიე — 39 მეტრზე გადავხტი... 1934 წელს, როცა უკვე 25 წლისა ვიყავი და ავტობუსების პარკში ვმუშაობდი, „განძი" ვიპოვე. ერთხელ გარაჟის ეზოში დახვავებულ ნარჩენებზე დავინახე რაღაც დეტალები, რომლებმაც თვითმფრინავის ნაწილები მომაგონა. დაშლილი პლანერი აღმოჩნდა. იმ დღიდან ჩემს ოცნებას ფრთები შეესხა — პლანერისტთა წრე ჩამოვაყალიბე, მერე კი პარაშუტისტთა სექციაც შეიქმნა.

● თქვენ ბრძანეთ, პარაშუტით 742-ჯერ გადმოვხტიო. ეს ცოტაა თუ ბევრი? დიდი გზა გაიარეთ რეკორდამდე?

— სარეკორდო იყო ჩემი 674-ე ნახტომი. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ათასისთვისაც გადამეჭარბებინა, მაგრამ არც ნახტომის გულისთვის გადმოვმხტარვარ ოდესმე და არც რეკორდისთვის დამიმყარებია რეკორდი. მე ერთი მიზანი მქონდა: მეშველი აპარატის უკეთესი ვარიანტი მფრინავებისთვის.

● რეაქტიული თვითმფრინავიდან კატაპულტირება, დაყოვნებით ხტომა.., ალბათ ძალიან საშიშია ცასთან, სტიქიასთან პირისპირ დარჩენა.

— ძალიან. მე არ მჯერა იმ მამაცებისა, რომლებიც ამტკიცებენ, ასეთ დროს შიშს არ ვგრძნობთო. გეშინია, ხანდახან მუხლებიც აგიკანკალდება, მაგრამ ვაჟკაცობა და უშიშრობაც ის არის, რომ შიში დაძლიო. ასე იყო მაშინაც, რეკორდის დამყარების დღეს, 1948 წლის 13 ნოემბრის სუსხიან დილას. შესანიშნავ პილოტს ვასილი იგანოვს „გამოვყავდი". მახსოვს, სიჩქარის აღმნიშვნელ ხელსაწყოზე ისარი გადასცდა საათში 300, 500, 600, 700 კილომეტრს. ისარი სულ წინ მიიწევდა და მე სუნთქვა შემეკრა. ეს იმ დროისთვის ფანტასტიკური სიჩქარე იყო. თვალები დავხუჭე. მერე გაისმა ბრძანება. თვალები გავახილე, დავმშვიდდი — უნდა შემოქმედა. გადავხსენი „ფარანი" და გამომთვლელი მანქანასავით სწრაფად დავიწყე გადმოხტომის წერტილების გაანგარიშება. ამასობაში სახის მარცხენა ნახევრის მოყინვა დამეწყო — ჰაერის ტემპერატურა მინუს 15 გრადუსამდე დაეცა რამდენიმე წამში ერთიანად შევიკუმშე და „გავისროლე". საჭირო იყო სიჩქარის კლება. 20-25 წამს თავისუფალი ვარდნით ვეშვებოდი და მერე გამოვკარი ხელი რგოლს. ისე რბილად გავცურდი ცაში, თავი ნავში მეგონა. მივხვდი, რომ ეს გამარჯვება იყო, მფრინავს შეეძლო ასეთი სიჩქარით კატაპულტირება.

● მაინც რატომ აირჩიეთ გამომცდელ-პარაშუტისტის პროფესია?

— ჩემი ცისმიერი თანამოძმეების — მფრინავების სიცოცხლისა და უსაფრთხოების გულისთვის. მაგ შეკითხვაზე ყველა გამომცდელ-პარაშუტისტი ასე გიპასუხებდათ. მაგრამ მე მხოლოდ მფრინავებს როდი ვუძღვნიდი ჩემს შრომას, ჩემს ცხოვრებას. როცა ასეთ რისკს ვწევდი, მე პირველ ყოვლისა ვფიქრობდი, რომ შემეძლო გადამერჩინა შვილი დედისთვის, მამა და მეუღლე — შვილებისა და ცოლისთვის. მოხარული ვარ, თუ ცოტა ბედნიერება მეც მოვუტანე ადამიანებს.

ვ. პიმენოვი.

მოსკოვი. (საკდესის კორ.).

ეტყობა, გამოეთხოვება...

ვან მურს — ლიეჟის „სტანდარდისა" და ბელგიის ნაკრების წამყვან ნახევარმცველს — ტრავმები დასჩემდა. გუნდის ახალმა მწვრთნელმა, იუგოსლაველმა მარკოვიჩმა ვან მური ბევრ სპეციალისტს გაასინჯინა, მაგრამ ექიმებმა საიმედო ვერაფერი თქვეს. მწვრთნელი მაინც არ კარგავს იმედს. მან ვან მური თავის მშობლიურ ზაგრებში მიავლინა, სადაც მკურნალობის კურსი უნდა გაიაროს.

მიმომხილველებს მაინც მიაჩნიათ, რომ 28 წლის ვან მური, ალბათ, ფეხბურთს გამოეთხოვება.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დალნოკი ჩანადის ნაცვლად

ბუდაპეშტის ცნობილ კლუბ „ფერენცვაროშის" მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ მწვრთნელმა ფ. ჩანადიმ, რომელმაც ამ გუნდში ორნახევარი წელი დაჰყო, თავი ვერ გაართვა საქმეს.

ჩანადის ნაცვლად „ფერენცვაროშის" მწვრთნელი გახდა ე. დალნოკი, ამავე გუნდის ყოფილი მოთამაშე.

სპორტული ცეკვა

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.